



11519/3-125/21 2 19112021



11519/3-125/21  
19-11-2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის I ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. 2020- 2021 წელს რამდენი პირი არის დაჯარიმებული 273<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე?
2. ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ რა თანხა შედის ბიუჯეტში 273<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე განოწერილი ჯარიმით?
3. 273<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე რამდენი პირს აქვს სანქცია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაკისრებული?
4. რამდენი ადამიანი არის დაჯარიმებული სისხლის სამართლის კოდექსისი XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაულისთვის კანაფის ჯგუფის ნივთიერების არსებობის გამო.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
იაგო ხვიჩია



# საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010149918905021

№15600

01 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ იაკო ხვიჩიას


ბატონო იაკო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/31622; თარიღი: 19.11.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია სტატისტიკური ინფორმაცია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 273<sup>1</sup> მუხლთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, დანართის სახით გიგზავნით სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და  
პრობაციის ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA  
LEPL – NATIONAL AGENCY FOR CRIME PREVENTION, EXECUTION OF NON-  
CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION



KA010103874998621

0177 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42, საქართველო, ტელ. /Tel.: (995 32) 2 222 800

№ 2/104327

29 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

ადმინისტრაციის უფროსს

ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2021 წლის 22 ნოემბრის №15213 წერილის პასუხად, საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი იაგო ხვიჩიას 2021 წლის 19 ნოემბრის №11519/3-125/21 მომართვის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად, 2020 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ქვემდებარე სამართლებრივი აქტები - 155 პირის, ხოლო 2021 წლის 01 იანვრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით - 308 პირის მიმართ.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელექტრონულად

ნათია ახმეტელი